


სახალხო გაზეტი

სურათებიანი ჟამბიკი

გაზეტის № 1005

ღამაშაჰის № 177

კვირა, 29 სექტემბერი 1913 წ.



ილია ივანესძე წინამძღვარიშვილი.
30 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო.

უნიკალური

პიესა 4 მუქმედებად.
(შემდგომი I*)

შემოდს გალია.

გალია. რას მიბძანებთ?

ალ. ოო, გალია, გალია, ორი ფეხი გაბია! წხომ გაიგე, გა-
ვიმარჯვეთ?

გად. მუდამ გამარჯვებული იყავი, რაღა ეხლა დამარ-
ცხდებოდი?

ალ. აბა, დღეს სადილად რა გგექნება?

გად. ყველაფერი ბევრია.

ალ. ათი კაცი რომ მოგვემატოს—გვეყოფა?

გად. სამოცსაც იყოფა.

ალ. შენ ხომ მუდამ გულუხვი იყავი... აბა, უბძანე დეს-
პინეს—სუფრა გაშალოს.

გად. მზად არის.

ალ. მაშ, გაგზავნე დომენტი—ვისაც შეხვდეს ქუჩაში, ან
ბულვარზე ნაცნობს—ყვილას სთხოვოს სადილად მომბანდნენ...
აბა, გასწი! (გალია გადის).

დარ. ავტომობილი მთელი დღითა გყავს?

ალ. დასწყევლოს ომერთმა, სულ არ დამავიწყდა! ზურა
გეთაყვა, წადი, გაისტუმრე! აჰა ფული!

ზურა. შე მაქვს ფული, მამა!

ალ. მაშ კარგი! შე და შენ მერე გავსწორდებით... ათი
საათიდან იყო.

დარ. შე ჩემს ოთახში შევალ!

*) იხ. სურათებიანი დამატება № 176.

ზურა. დედა, ავად ხომ არა ხარ?
დარ. არა, სრულიად კარგათა ვარ! (წელზე ჰკოცნის.
ელენე, თუ გინდა შენც მოდი. გადის).

ალ. (ელენეს) მეშინიან, ავად არ გახდეს, ამდამ ქეფი
არ ჩაგვაშხამოს.

ელ. განა არ იცი მაგისი ნერვები? დაისვენებს,—დამ-
შვიდდება.

ზურა. (კარებში თავს შემოჰყოფს) მამა, რუსია მოდის და
ვილაც სტუმარი მოჰყავს. (იმაღლება).

ალ. სტუმარი? სწორედ როზე! სიამოვნებით მივიღებთ!
მომბანდეს!

რუსია.

რუსია. (კულისებში) დედა, დედიკო! იცი, ვინ მოვი-
ყვანე? (შემოდის) დედა სად არის?

ელ. თავის ოთახშია.

რუს. ავად ხომ არ არის?

ალ. არა! აბა, სთქვი, ვინ მოიყვანე?

რუსია. აი, ეხლავე ნახავთ! (კარებში) მოიხადეთ თქვენი
წამოსასხამი... ხმალიც... (მამას) ჩემი მხსნელი, რომელმაც
სიკვდილს გადამარჩინა... მომბანდით!


შემოდის გრიშა.

რუსია. გაიცანით, მამა-ჩემი, ჩვენი ნათესავი ელენე. დე-
და, დედიკო, რა გახარო! (შეფარდება ოთახში).

გრიშა. მოხარული ვარ თქვენი გაცნობით და ბედნიერი
—მეძღვევა შემთხვევა მოგილოცოთ ბრწყინვალე გამარჯვება...
თუმცა ეს პირველი არა ყოფილა... საზოგადოების ასეთი სიყ-
ვარულისა და პატივისცემის ღირსნი არიან მხოლოდ რჩეულნი.

ალ. გმადლობთ!.. დიდათ გგასიამოვნეთ თქვენის მომბა-
ნებით... რმედი მაქვს—ეს არ იქნები უკანასკნელი და შემდეგ-
შიაც, უფრო შინაურულად...

გრიშა. სიამოვნებით ვისარგებლებ თქვენი გულუხვი მას-
პინძლობით... ქალბატონო, კიდევ ერთხელ ჩემი უღრმესი პა-
ტივისცემა. (ხელს ართმევს).



არჩილ ჯორჯაძე
მანგლისში 1909 წელს ხაფხულში.

შემოდინ რუსია და დარო.

რუსია. აი, დედა, ჩემი მხსნელი... რომელიც ერთი თვე ჩემს საწოლს არ მოშორებია და მომარჩინა კიდევც. (გრიშა და დარო ერთმანეთს შეხედვენ და შეკრთებიან, მაგრამ თავს იქე-რენ).

დარო. დიდად სასიამოვნოა!.. მე მინდა... მადლობა გა-დაგიხადოთ იმ მზრუნველობისათვის... რომელიც ჩემს ქალს გაუწიეთ...

გრიშა. არა ღირს, ბატონო... ეს ჩემი მოვალეობა გახლ-დათ... მით უფრო რუსია იყო შვილი... ჩემი საყვარელი... მი-წა-წყალისა... თუმცა უმეტესი ნაწილი ჩემი ცხოვრებისა ცივს რუსეთში გადატარე, მაგრამ გული და გრძობა არ გაქცევილა და ჩემი სამშობლო მუდამ მახსოვდა... რუსიას მორჩენით მე მოვირჩინე ის წყალუღი, რომელიც მტკიოდა 18 წლის გან-მავლობაში.

ალ. ეს გახლავთ გიტო, ძველი მეომარი.
ელ. ვაშა ექიმო! მაშ თქვენ ერთის დაკვრით ორ ნადირ-სა ჰკლავთ?!

გრიშა. ხშირად ერთისთვისაც ამიცდენა.
ელ. მაშ ცუდი მიზანი გქონდათ.

გრიშა. მიზანი კარგი ვიყო, მაგრამ ზოგჯერ მდებარეო-ბა მიშლის ხელს.

ელ. ოო, ექიმო, თქვენ საშიში კაცი ყოფილხართ.
გრიშა. რითი, ბატონო?

დარ. ბ ბო, დაბანდით! ელენე, შენმა ლაპარაკმა მასპინ-ძლის მოვალეობაც-კი დამავიწყა...

ალ. დაბანდით!
გრიშა. (უნდა დაჯდეს, მაგ-რამ მოთამაშეთ გადახედავს).

ალ. იმათ გაცნობას მერეც მოასწრებთ... ძალზე გართულ-ნი არიან თამაშობაში... დაბან-დით! (სხდებიან).

რუსია. (გრიშას სავარძელს მიუღვამს, დედასთან დადგება თვალბეჭდის შესცქერის).

ელ. მაშ როგორ, ბ. ექიმო?
გრიშა. რითი მეთქი, ბ-ნო!

ელ. თქვენ შეგიძლიანთ ქალს ერთბაშად შეაყვაროთ თავი.

დარო. ელენე, შენ ძალიან ჩქარა დაიწყე!

ელ. ეგრე უნდა, ჩემო კარ-გო!.. იერიშით უნდა მიხვიდე...

ალ. „ან გამარჯვება და ან სიკვდილი!.. (იციანიან).
ელ. მაშ!

რუსია. დედა ელენე, როგორ არა გრცხვენინა?!

გრიშა. იერიშს ნაცადი არ გახლავართ და...

ელ. უფრთხილდით, არ დაგამარცხონ...

ელ. ვწუხვარ, ეგრე მალე დაჰყარეთ ფარხმალი!

გრიშა. ვითომ? მე მგონია—პირიქით!

ელ. ეგ ბუნებაზეა დამოკიდებული.

დარ. შენ რომელიღა მოგწონს?

ელ. მე მიყვარს, როცა ორ ძალიან შეჯახებით ნაპერ-წყლები ცვივა...

გრიშა. ყინულისაგან ნაპერწყლები ვას უნახავს?

ელ. ეგ მხოლოდ სიტყვებია! გიცნობთ, რა შიღლებიცა ხართ მამა-კაცები.

ალ. ელენე, სტუმარი კი არ გაგვტყიო და... დარო, რა-ტომ არა სთხოვ სტუმარს—ხმალი მოიხსნას.

დარ. მართლა... ელენემ სულ გადამრია... გთხოვთ .. რუ-სია, აბა!

რუსია. ექიმო, გთხოვთ!

გრიშა. ესლა რომ თავპატიე დაიწყე, მგონი უხერხუ-ლია?!

ალ. რა დროს თავპატიეა?... ჩვენ ხომ უცხონი არა ვართ, ქართველები ვართ.

გრიშა. (ხმალს მოიხსნის და რუსიას გადასცემს).

შემოდის ზურა.

ალ. აა, ზურაბ, ზურაბ!.. აბა, გაიცანით, ეს გახლავთ ჩე-მი ვაჟი.

გრიშა. (დაროს შეხედავს) ღმერთო ჩემო, თურმე და-ბერებულვარ.

ელ. ღვთის გულისათვის—სიბერეზე ნურას იტყვი.

დარ. რატომ?

ელ. სიბერეზე რა ლაპარაკს დაიწყებთ, მე გული მი-ღონდება... ამოდენი ქალი გაუთხოვარი ვარ...

გრიშა. რატომ არ გათხოვდებით, ბ-ნო?
ელ. ჰიროს გასწყვარტოს ეხლანდელი ყმაწვილები—ცო-ლებს აღა-რთავენ. (იციანიან).

გრიშა. იმედია, მე...
ელ. თქვენ, არა, ექიმო!.. თქვენ სასიკვდილოთ არ მე-მეტებით!

ალ. ხა, ხა!.. მშვენიერია!.. (იციანიან).

გიტო. (ალ-რეს გრიშაზე) ვინ ბძანდება?
ალ. ექიმი გახლავთ!

გიტო. სად მსახურობს?
ალ. პეტერბურგში იყო და ეხლა აქ გადმოიყვანეს.

გიტო. ფულებს თუ შოულობს ბლომად?
ალ. ალბად!

გიტო. (გრიშას) ვოენი დობტური ბძანდებით?
გრიშა. დიახ, ბ-ნო!

გიტო. მე ვიყავა ვოენში... რუსმა რომ თათარს ბათუმი წაართვა... დაჭრილი ვარ... (P) ჩინიც მომცეს...

გრიშა. დიახ!..
გიტო. (მისჩერებია) ფულს თუ შოულობს ბლომად?

გრიშა. არა უშავს რა, თავს ვირჩენთ.
გიტო. (P) მეც მყავს ვაჟა, ბათუმში... „ზავოდშია“... ქე იშონის ასე... 19 მანეთს თვეში... (ილიმებიან. გიტო ყველას გადახედავს) რკინის გზაზე სამსახური სჯობია ყოველიფერს...

გრიშა. დიახ, ბატონო... კარ-გი პირობები გახლავთ...

გიტო. ფულიც ქე იშონება გვირანდალ...

გრიშა. დიახ... აკი მოგახსენ-ნეთ—პირობები კარგი აქვთ...

გიტო. არა... მე ექიმებზე არ მოგახსენებთ...

გრიშა. უკაცრავად, მაშ ვიზე?
გიტო. კანდუხტორებზე... (საერთო გაკვირვება და ღი-მილი).

ალ. (სიცილით) კანდუხტორ-მა რა უნდა იშოვნოს?

გიტო. უბილეთოებს წვი-ყვანს ბევრს... (ყველანი იცინი-ან, გიტო უხერხულად არის).

ნესტ. აა, შენ არ მომიკვდე, არ გაპატიო!

პავ. მოიცა კაცო, სირცხვი-ლია, ქალები არიან.

ნესტ. ქალი კი არა, ღვთისმშობელს არ მოვერიდები!.. მობრუნდი!

პავ. ნესტორ, ცოლ-შვილს გაფიცებ...

ნესტ. ცოლ-შვილი არ მომიკვდეს არ შეგარჩინო... მობ-რუნდი!

ალ. ყმაწვილებო, რა ამბავია? (ამ დროს ნესტორ პავ-ლეს ქიტლას ამოჰკრავს, ისე მაგრა, რომ პავლე წაბარბაც-დება და სწორედ გრიშას წინ გაჩნდება. გრიშა უკან დაიწევს შეშინებული. პავლეს შერცხვება, მაგრამ ხუმრობაში ჩაატა-რებს (სიცილი).

პავ. თუმცა პანდურ ნაკრავი ვარ, მაინც მთხოვთ მიც-ნობდეთ... მე გახლავარ პავლე...

გრიშა. სასიამოვნოა!

პავ. რა არის სასიამოვნო? პანდურ ამოკრული რომ ვარ, თუ ჩემი გაცნობა?

გრიშა. არა, ბ-ნო, თქვენი გაცნობა!..

ალ. ეს გახლავთ ჩენი ნესტორ!..

გრიშა. (ხელს ართმევს) ბევრი გამოგონია თქვენზე...

ნესტ. ნუ გეშინია, კარგს ვერაფერს გაიგონებდი... ქა-ლადს ვთამაშობ და ღვინოს ვსვამ!

ალ. რა ჰქინი ნესტორ, ხომ არ წააგე?

ნესტ. კინლამ არ გამშვინდა? ერთი პანდური მოუგე და ისიც ჩემზე დარჩესო!.. ყურუმსალი? (პანდურიდან მოყოლე-ბული სიცილი მატულობს, დაროს ისტერიკა მოსდის. მისცივი-დებიან.)

სურათი.

ფ ა რ ა



ღვევან მულაშვილის მიერ სოფლებიდან შედგენილი მგალობელთა გუნდი, რომელიც გალობს ს. გურჯაანში მთა-ვარ ანგელოზის ეკლესიაში. (იხ. ღვევანელი გაზეთი).

კავკასის გზაზე მატარებლის № 3 დამსხვრევა



ადგილი სადაც ვაგონის ნამსხვრევებმა მგზავრები დაიტანა.



დაზოცილთა გამოცნობა ნათესავების მიერ.

მოქმედება მეორე.

იგივე ოთახი. შემოდგომის საღამო.

ალექსანდრე საქანელაში გაწოლილა და კბილებს იჩიჩნის მის წინ ნესტორ სდგას, ხელში ქაღალდი უჭირავს და სთვლის.

ნესტ. და ქრისტეფორე—26.

ალ. რა 26?

ნესტ. 26 კაცი...

ალ. შენ ფული დათვალე... კაცები შენ გყავდეს.

ნესტ. 200, 180, 300, 220... ის 1000 წაგვივიდა ხელიდან...

შენი ბრალი კია.

ალ. ეჰ, რა ვიცი, კაცო... იქნება ჯაშუშია, განზრახ მოგზავნილი... სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

ნესტ. ნიკოსთან მისულა და 1500 შეუძლევიდა.

ალ. მერე?

ნესტ. უარი უთქვამს, სულელს... დამუქრებია კიდეც—

სამართალში მიგკემო.

ალ. ბრიყვი!

ნესტ. მაგისტანა კაცი მოსაკლაგია... ავი ძალლი არც თითონ სქამს, არც სხვას აქმევსო.

ალ. მერე-მერე, დათვალე!

ნესტ. 220, 100...

ალ. ვინ არის ეს ასიანი?

ნესტ. ფხაკაძე.

ალ. მერე ასათ გაურიგდი?

ნესტ. ჰო...

ალ. ცოტაა...

ნესტ. გატყავებულ გლებს მეტს რას გამოართმევ?

ალ. არა, რას ფიქრობდი 100 მან. რო თანხმდებოდი? იქნება გგონია, მაგაშია(კ) წილი მოგცე?.. ჩვენი პირობა ხომ განსოგს—ათი პროცენტი არა ნაკლებ 150 მ-სა.

ნესტ. შენი საქმე მიკვირს ღმერთმანი! რატომაც არ უნდა დავთანხმდე? რაო ვითომ, რა დიდი ხარჯი შენა გაქვს? ქაღალდი გეხარჯება, მეღანი, თუ მარკა? თუ „სულში“ უნდა წადგე და „რეჩი“ სთქვა?

ალ. (იციინის).

ნესტ. ქალამანში ხუთი თითი მოუჩანს გლებს—მეტი რა უნდა გამოართვა? ამისთვისაც ხარები გაჰყიდა.

ალ. ჯანიც გააგდებინე და ძროხაც გააყიდვინე. მერე?

ნესტ. აი, ამის საქმე-კი მეფიქრება!..

ალ. რომელია?

ნესტ. ბეკო გაფრინდაშვილი—400-ანი. (ზარი).

(შემოდის დომენტი და მიდის კარის გასაღებად.)

ალ. ნახე, ბიჭო, ვინ არის? (ბიჭი გადის) ბეკო გაფრინდაშვილი რომელია? კუზიანი შვილი რომ ჰყავს?

ნესტ. კუზიანი კი არა, ვარსკვლავს ეთამაშება, ისეთი ბიჭია.

შემოდის დომენტი სადარბაზო ბარათით.

ალ. (კითხულობს)... „გაზეთი სიტყვის რედაქტორი“ ჰმ... სთხოვე! (ბიჭი გადის) საქმე კარგად მიდის... ალბად შესარიგებლად თუ მოდის... მუხრუჭი, მუხრუჭი მაგათ!

ნესტ. მუხრუჭი კი არა, ენას ამოვწვავდი ყველას.

ალ. ჯერ დამაცადე!

შემოდის დომენტი და რედაქტორი. (დომენტი გადის).
ალ. მობძანდით! (ხელს ართმევს) დაბძანდით! (სხდებიან დუმილი) რით შემიძლიან გემსახუროთ?

რედაქ. თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

ალ. ბძანეთ...

რედ. თუ შეიძლება პირისპირ...

ალ. საიდუმლოა? სიამოვნებით! ნესტორ, ცოტა ხნით დაგეტოვებ! (ნესტორ შედის კაბინეტში. კარს ღიას სტოვებდა იქვრიტება).

ალ. აბა?!

რედ. მე გამომგზავნა ჩვენმა ჯგუფმა და დამავალა ვად-მოგცეთ მისი წინადადება.

ალ. საინტერესოა!

რედ. ჩვენი ჯგუფი, რომელსაც თქვენ უეჭველია იცნობთ...

ალ. როგორ არა, ძალიან კარგადაც ვიცნობ.

რედ. სრულიად არ ეთანხმება თქვენი მოღვაწეობის ძირითად პრინციპებს და წინადადებას გაძლევთ თანამდებობიდან დაუყონებლივ გადადგეთ.


ალ. (დიდ ხანს მისჩერებია. ადგა, წელში გასწორდა, შეხედა, გაიარ-გამოიარა) ჰმ... (მივიდა, წინ დაუდგა და პირში შესცინა) რომ არ გადავდგე?

რედ. მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით თქვენი მოქმედების ყოველი მხარე გამოვაქვეყნოთ.

ალ. მერე, როგორა ფიქრობო—ჩემი მოქმედება უფრო სამარცხვინოა, თუ სსახელო?

რედ. მე მგონი ამაში ექვიც-კი არა გაქვთ, რომ თქვენი მოქმედება სამარცხვინოა და ყოვლად შეუფერებელი თქვენი მდგომარეობისა.

ალ. ხა, ხა, ხა!.. ნესტორ, ნესტორ!



ძველი საქართველო. აკადემიის ნანგრევები იყალთოში.

შემოდის ნესტორ.

ალ. როგორ მოგწონს, ჰა? უსუსურთა ჯგუფი, ამხედრებულა ჩემს წინააღმდეგ და წინადადებას მადლივს სამსახურიდან გადავდგე...

ჩედ. უკაცრავად, მე მინდოდა საიდუმლოთ მოგლაპარაკებოდით!

ალ. სისულელეა! მე თქვენსავით ბრმა და მუხლებში სუსტი არ ვახლავართ... როცა დავდივარ, ნაბიჯს მტკიცედ ვადგამ და წინ ორი თვალი მინათებს... ამიტომ არავითარი საიდუმლო მე არა მაქვს... ჰო და ასე, მოწყალეო ხელმწიფე! მე ვიცნობ თქვენს ჯგუფს და იმდენად მეშინიან იმისი, რამდენადაც მზეზე სეტყვისა... მაგრამ ვიცნობ მეორე ჯგუფსაც, თქვენსაზე ძლიერს, რომელსაც სათავეში მე ვუდგევარ...

ჩედ. ნუ დაგავიწყდებათ, თქვენ მხოლოდ ოთხის ხმით გაასწართ თქვენს მოწინააღმდეგეს და შეიძლება ის ოთხი ხმა ჩვენ გადმოვიბიროთ.

ალ. როცა თქვენ ჩემს ოთხ ხმას ვადიბირებთ, თქვენს რვას მე წავართმევთ!.. ესეც გახსოვდეთ, ბ-ნო ჩემო!

ჩედ. მაშ როგორ?

ალ. არავითარ ანგარიშს მე თქვენ არ გაძლევთ... საზოგადოებამ დაბაყენა საქმის სათავეში და განვარდობა ჩემს საქმეს.

ჩედ. თქვენ არა ხართ დიდის უმრავლესობით არჩეული...

ალ. დიდი უმრავლესობა თქვენს უსუსურ კანდიდატს მოუგროვებთ,—ჩემთვის—კი 4 ხმაც საკმარისია.

ჩედ. ბოლოს არ ინანოთ!

ალ. ჩემს დღეში არაფერი მინანია!

ჩედ. მაშ ჩვენ სხვა ზომებს მივმართავთ!

ალ. სწორეთ! გაზეთი ხელთა გაქვთ! ეს პირველი არ იქნება! მაგრამ ბევრჯერ მოგაქეპინეთ თავი და კიდევ მოგანიჭებთ ამ სიამოვნებას.

ჩედ. ვნახოთ!

ალ. ვნახოთ! მე თქვენსავით უმაღლესი სწავლა არ მიმიღია... მე გავიარე ცხოვრების სკოლა და თქვენისთანა პტრებს მუდამ ვაგუშქავდები.

ჩედ. ვეცდებით საზოგადოებას აუხილოთ თვალები... ჩვენს ჯგუფს ბრძოლა თავის დღეში არ წაუგია!

ნესტ. შე დალოცვილო, რატომ შეგჯგუფდი? იარეთ ცალ-ცალკე და არც ეს ჩხუბი დაგქირდებათ...

ჩედ. (ნესტორს შეხედავს და არაფერს ეტყვის) ნახვამდის!

ალ. მაქვს პატივი!

ნესტ. (კარებს გაულებს. რედაქტორი გადის).

ალ. (ნესტორს მისჩერებია და იცინის) ნესტორ უბედურო, ღრუბელი მოდის, ღრუბელი?..

ნესტ. (ჩაფიქრებულია).

ალ. გავფანტავ!

ნესტ. კაცები რომ იყვნენ კიდევ ჰო, მაგრამ ამ ხოქოებმა რომ თავი წამოჰყვეს—არ გიკვირს?

ალ. გავსრესავ!.. აბა, განაგრძე შენი ანგარიში?

ნესტ. რაღა ანგარიში, გული გამისკდა შაშვივით!

ალ. შენ ფიქრი ნუ გაქვს! განაგრძე, ვიზე გავჩერდით?

ნესტ. ბეკო გაფრინდაშვილი... არაფერი არ უშველის და დაგველუპა 400 მ. ჩემი დარდი მაქვს, ცალკე მომცა 100 მან.

ალ. არ გაუქირდება—ბევრი აქვს.

ნესტ. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ იმასთან... არ გვიჩივლოს.

ალ. ბუზსაც ვერ აგვიფრენს.

ნესტ. ეს ფულები თუ ქრთამებში დაიხარჯეთ, ჩვენ რაღა დაგვიჩება?

ალ. ეგ მე მომანდებ... შენ ისა სთქვი—ფული რამდენია?

ნესტ. 8 ათასი.

ალ. ძალიან ცოტაა.

ნესტ. მეტი არ მოგროვდა.

ალ. შარშან მეტი იყო.

ნესტ. გოლვიანი წელიწადია... მახინჯები ბევრია.

ალ. კარგად დათვალე?

ნესტ. 8000 უნდა იყოს...

ალ. უნდა იყოს რომელია? ნამდვილი მითხარი!

ნესტ. რას ჯავრობ, შე დალოცვილო? აბა, შენ დათვალე!

ალ. ჰო, კარგი, გენდობი... მოიტა ფულები.

ნესტ. (ფულს აძლევს) 2500 ერთხელ მოგეცი... 300—მეორეთ...

ალ. 300 როდის?

ნესტ. როდის და მთელი რესტორანი რომ დააკეტინებ... შანსონეტებს შაშანიურით ფეხებს ზანდი—მაშინ.

ალ. ჰო, მართლა, დამავიწყდა... იმ დამეს ვანდას 100 მ. გამოვართვი.

ნესტ. 150 ნახარჯიც გამოგეყვა... უნდა მივცეთ.

ალ. მაშ! მაშ!..

ნესტ. (ფულებს გადასცემს) აბა, დათვალე!

ალ. გენდობი... შენი აილე?

ნესტ. არა, შენ ჩავიყრი ხელში!

ალ. აბა, ეს 150 მ. ნახარჯის მიეცი... ეს 100 მ. ვანდას გადაეცი ჩემს მაგიერ... შედი იმ მაღაზიაში გუშინ რომ ვიყავით, იქ ერთი ბეჭედი გადადებული ჩემთვის... გ. მოისყიდე და ვანდას წაუღე... აბა ფული. (აძლევს) დაიცა, წერილსაც მივსწერ,—ხვალ ღამ არავის წაჰყვეს. (დერეფანში ქალების ლაპარაკი).

ალ. ქალები მოდიან... კარნეტში შევიდეთ. (შედიან).

შემოდის **დარო** და **ელენე**.

დარო. (შლაპას ახდის. ეძახის) დესპინე!ქქ

ელენე. სწორედ გითხრა, არაფერი საიდუმლო შენ არ გეთქმის.

დარ. არც არაფერი მაქვს საიდუმლო.

შემოდის **დესპინე**.

დესპინე. რას მიბძანებ ქ-ნო?

დარო. (შლაპას გადასცემს) ბატონი შინა ბძანდება?

დესპ. დიახ!

დარ. რუსია?

დესპ. სასეირნოდ წაბძანდა.

დარ. ზურა სად არის?

დესპ. თავის ოთახშია, მეცადინეობს.

დარ. კარგი, წადი. (გოგო გადის).

ელ. შენთან ლაპარაკი საშიშია... მეგობრულად გავაფრთხილე, რომ საზოგადოებაში ასე ლაპარაკობენ მეთქი...

დარ. საზოგადოება! ვიცი ეგ საზოგადოება!.. ენაქართალო ფროსიკო! დიდი ხანია ჩემი ჯავრი სკირს... ნეტა ვიცოდე, ვის რაში ეკითხება ჩემი ოჯახის საქმე?

ელ. შენს ოჯახს ეხებიან იმდენად...

დარ. რამდენადაც ჩემი მდგომარეობა სხვას აწუხებს.

ელ. სწორედ!

დარ. ჯერ არავის კარის დირე არ აგვიტალახებია მოწყალებისათვის... ჩემს ქმარს კიდევ დარჩა იმოდენი მამული, რომ...

ელ. საქმეც ეგ არის,—ამბობენ, რომ შენს ქმარს აღარაფერი აქვს და სულ სხვა წყაროდან ცხოვრობს ასე ხელგაშლილადაო.

დარ. ეს ლა მაკლია, ქურდობა დევნა მან... საზოგადოთ გვიყვარს სხვის სულში ხელის ფათური!

ელ. ტყუილადა გგონია ეგრე, დარო... ყველას აქვს უფლება...

დარ. ღვთის გულისათვის უფლებებზე ლაპარაკს თავი დაანებე.

ელ. თუ არ მაღაპარაკებ—შენი ნებაა! (P).

დარ. (ფანჯარასთან მიდგა) იმ ქორიკანა ფროსიკოს ვერ მოუსვენია... ბრაზით იხჩვება, რომ ჩვენს ოჯახთან გრიშა ისე დაახლოვებულია...

ელ. აი, გრიშაზედაც...

დარ. (შემოტრიალდა) რა გრიშაზე?

ელ. გრიშაზედაც ლაპარაკობენ... არა, იმიტომ კი არა...

დარ. მჯერა... მერე, სთქვი!

ელ. ამბობენ—თქვენი ასეთი დაახლოვება ექვს ბადავსო.

დარ. მერე რა გვინდაო?

ელ. ახირებული ხარ, დარო!

დარ. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს.

ელ. დარო!

დარ. გიკვირს? განა ეს ისეთი დანაშაულია?!

ელ. დარო, შენ ავად ხარ!

დარ. თუ სიყვარული ავადმყოფობაა—მართალი ხარ. (დერეფანში რუსიას ფეხის ხმა.)

დარ. კარგი, დაჩუმდი, რუსია მოდის.

(შემდგე იქნება)

ვალ. შალიკაშვილი.

